ცნობის ფურცელი

№ 2160 შაბათი, 24 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2160

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ეკლ. ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

25 ამა მაისს ბანკის ბაღში და თავად-აზნაურობის თეატრში
«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»
სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათიდან. ბაღში დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა. ბაღში იქმნება: საბავშვო გასართობი, ბედის ქვევრი, ფოსტა, მკითხაობა, სიურპრიზები. თეატრის ფოიეში: ცეკვა.

7 საათიდან დაუკრავს

საზანდარი

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირება 20 კაპ. (ბავშვებისთვის 10 კ.) (3— უ—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის მ. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. მ. ჯორჯიკაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღლინი. ყურისა, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—საიდუმლოსი, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სოკოლოვსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი თ:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ოლგას ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

დაიკარგა
მომგებიანი ბილეთი

სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა
№ 10836—9.

ნომერი ტირაჟშია ამოსული. ბილეთი დაიკარგა 22 მაისს, დილის 6 საათზე. მპოვნელი ჯილდოს მიიღებს.

ადრესი: საპიორნი ქუჩა, სახლი ალექსანდროვისა, № 6, ელენე წვერიძესთან. (2—97—2)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წლის მოქმედებისა;
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგარიშის შესახებ;
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1903 წლისათვის;
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა;
5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—უ.—2)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

რედაქციისაგან.

მაისის დამლევს წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **პრემია შოთა რუსთაველის სურათი.** ვისაც ფული სრულად არ შემოუტანია ან ტფილისს გარედ გასაგზავნად 30 კ. არ გამოუგზავნია, რედაქცია სთხოვს დროზე გამოუგზავნონ ხვედრი ფული.

სამოსახლო ადგილი

300 ჩარხ. საჟ.

იყიდება

ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.

იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში" ქურუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა. № 7, მე-9 ნაწილში. (10—6.—10)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი იახშიძისა. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ეკლესიასთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. რეაქციონერები მოსვენებას არ აძლევენ კომბსა და ყოველნაირად სცდილობენ კომბის სამინისტრო გაჰკიცხონ და სახელი გაუტეხონ. გაზეთ „ეკლ ბლა"-ში, ნაციონალისტ დეპუტატის ფლანდენის ჩაგონებით ცნობა დაიბეჭდა, ვითომ კომბის ვაჟი-შვილს ედგარს „სერკლ ნაციონალ"-ის კლუბისაგან 25 ათასი ფრანკი მიეღოს იმისათვის, რომ ბაკარას თამაშობის ნება გამოეტანა ამ ბანკისათვის. ამავე დროს გაზეთ „ფიგარო"-ში ემბერების მოურავად ნამყოფ პარეირას წერილიც დაიბეჭდა საზღვაო მინისტრ პელტანის სახელობაზე. ამ წერილს 1902 წლ. 25 სექტემბრის თარიღი უზის. პარეირა სთხოვს პელტანს, იუსტიციის მინისტრთან შემეწიეთო; მოვალე ხართ ეხლა შემწეობა გამიწიოთ, რადგან მეც დიდი სიკეთე გაგიწიეთო. 1889 წ. თქვენ მედგრად ცდილობდით, რომ პალატას ფრედერიკ ემბერის დეპუტატად არჩევა კანონიერად ეცნო; ამისათვის ემბერებს დიდი ფული გამოართვით და აქამდე ეს თქვენი საიდუმლო არავისთვის გამიმხელიაო.

ამ წერილების თაობაზე დეპუტატები 15 მაისს პელტანსა და კომბს შეეკითხნენ.

პირველად პელტანმა უპასუხა დეპუტატებს. საზღვაო მინისტრმა სთქვა:

დიდად მოხარული ვარ, რომ საბუთი მომეცით, ეგ უსირცხვილო ცილის-წამება დავარღვიო. გაზეთი „ფიგარო" ბრალსა მდებს, ვითომ ემბერებისაგან დიდი ფული მიმეღოს. ვაცხადებ, რომ არას დროს არც პირდაპირ, არც სხვისა შემწეობით ემბერებისათვის არცარა მითხოვნია-რა, არაც-არა მიმიღია (მარცხენა პარტია ტაშს უკრავს). „ფიგარო"-ში დაბეჭდილი პარეირას წერილიც არ მიმიღია და მგონია, ეს წერილი სულაც არ ყოფილა ჩემთან გამოგზავნილი. ფოსტაში ვიკითხე და მითხრეს, 1902 წ. სექტემბრის გასულს თქვენ სახელობაზე არაფერი წერილი არ მოსულაო. არათუ ჩემ პოლიტიკურ მეგობრების წინ, ჩემ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების წინაც კი შემიძლიან, მგონი, თამამად ვსთქვა: იმ ოცის წლის განმავლობაში, რომელიც ამ პალატაში გავატარე, თავი ღირსეულად მეჭირა და არას დროს არა ვყოფილვარ ის კაცი, რომ ფულის გულისათვის ჩემი სიტყვა გამეყიდნა (ახალი ტაშის ცემა).

ამის შემდეგ ტრიბუნაზე კომბი ავიდა. პირველმა მინისტრმა სთქვა:

იმ საზიზღარ ცილის-წამებას, რომელიც გაზეთ „ეკლ ბლა"-ში გაიმეორეს, სულაც არ გავცემდი პასუხს, დეპუტატის სახელი რომ არ ერიოს ამ საქმეში. „სერკლ ნაციონალ"-იდან ორი კაცი მოვიდა ჩვენთან და ბაკარის თამაშობის ნებართვა გვთხოვეს. პოლიციის პრეფექტს შევეკითხეთ და პრეფექტმა გვიპასუხა, კლუბს აქვს ეგ ნებართვა და ჯერ ვადაც არ გასვლიაო. კლუბსაც ასეთივე პასუხი მივეცით. სამინისტროს მტრები არაფერს არ ერიდებიან და არაფერს ღონეს არა ჰზოგავენ, რომ შინაგან საქმეთა მთავარ მდივანს (ედგარ კომბს) სახელი გაუტეხონ; ხალხში ხმას აგდებენ, ვითომ დოღების დროს დიდ სანაძლეოებსა სდებდეს, ქალალდსა თამაშობდეს, რაღაც ვექსილების საქმეში ერიოს და სხვ. ვაცხადებ, რომ ჩემ შვილს არც ვალი აქვს, არც სანაძლეო წაუგია, არც ვექსილე-

ფელეტონი

ჰერხარტ ჰაუპტმანი

(კრიტიკული ეტიუდი *)

III

კიდევ უფრო საყურადღებოა ჰაუპტმანის მეორე სოციალური დრამა „ფეიქრები", რომლის შინაარსი აღებულია სილეზიის მუშათა ცხოვრებიდან.

კაპიტალისტური წარმოება გერმანიაში აღორძინდა მხოლოდ მეორმოცე წლებში და ამიტომ ამ ხანად ახალ მანქანების შემოღების გამო ბევრი მუშა დარჩა ულუკმაპუროდ. როგორც ვიცით, კაპიტალისტურ მეურნეობის ნიშნობლივი თვისება ის არის, რომ წარმოების ყველა დარგში იწყებენ მუშაობას ახალ მანქანებით, რომელიც შრომას შედარებით აადვილებს და მასთან ერთად ანაყოფიერებს. ამიტომ პირველ ხანს მომუშავეთა რიცხვი კლებულობს, კლებულობს აგრეთვე სამუშაო ქირის რაოდენობაც. ეს გარემოება საშინელ გაჭირვებაში აგდებს ისედაც ღატაკ მუშებს, რის გამოც ისინი უმეტეს შემთხვევაში მანქანებს ამტვრევენ, რადგან მანქანებს აბრალებენ სამუშაო ქირის დაკლებას. სწორედ ამ დროს იწყება მუშათა შორის სტიქიური მოძრაობა, სწორედ ამ დროს მუშა ხალხი პირველად იღებს ხმას და თავის პროტესტს მანქანების განადგურებით აცხადებს! ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, რამდენად შემცდარია ის აზრი, ვითომ მანქანები იყოს დამნაშავე მუშათა რიცხვის შემცირებისა, რადგან ეხლა ყველასთვის ცხადია, რომ ამ მოვლენის მიზეზს თანამედროვე სოციალურ განწყობილებათა სრულ უვარგისობაში უნდა ვეძებდეთ; ყველასთვის ცხადია, რომ თავის-თავად ტეხნიკურ პროგრესს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისთვის, ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის საგულისხმო ფაქტი, რომ მანქანების შემოღებამ ყველა ქვეყნებში (ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვ.) გამოაწვია მუშათა მოძრაობა. გერმანიაში ამგვარი მოძრაობა მოხდა მეორმოცე წლებში, რადგან, როგორც ზემოდაა ნათქვამი, მხოლოდ ამ დროს განვითარდა ამ ქვეყანაში წარმოება მანქანების მეოხებით. ეს მომენტი მშვენივრად აქვს დახასიათებული ჰაუპტმანს თავის—შესანიშნავ დრამაში—„ფეიქრებ"-ში. ერთ მდიდარ ფაბრიკანტის—დრეისიგერის—მუშები თხოულობენ სამუშაო ქირის მომატებას. ისინი ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან დრეისიგერის ქარხანაში შეამცირეს როგორც მომუშავეთა რიცხვი, ისე სამუშაო ქირაც. ბევრი შიმშილით კვდება, ბევრი ავად ხდება, ბევრს სიკვდილი მოელის, რადგან უმეტესობას უბრალო კართოფილიც-კი არ აქვს საჭმელად. მაგრამ, მიუხედავად ამ საშინელ გაჭირვებისა, გულქვა დრეისიგერი მუშების თხოვნას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. თუმცა თვით დრეისიგერის თვალ-წინ ერთ პატარა ბავშვს შიმშილის გამო გულზე მოუვიდა, თუმცა ფეიქრების დამჭკნარ-დაქანცული სახე ჰმოწმობს მათს აუტანელს მდგომარეობას, მაგრამ ტიპიურ მძარცველზე ეს გარემოება სრულიადაც არა ჰმოქმედებს. დრეისიგერს, რასაკვირველია, არა ჰსურს შეჰხედოს საქმის ნამდვილ მდგომარეობას, თვალს არიდებს ფეიქრებს, ეუბნება ათას სისულელეს, სხვათა შორის იმას, რომ თუმცა ჩემი საქმე ცუდად მიდის, თუმცა ვაგებ, მაგრამ იმდენად მაინტერესებს მუშების ბედ-იღბალი, რომ მზადა ვარ შევწირო საკუთარი ბედნიერება მუშების კეთილ-დღეობასაო. დრეისიგერი უმტკიცებს მუშებს, რომ ქარხნის პატრონნი საზოგადოდ უფრო იტანჯებიან, უფრო გაჭირვებულნი არიან, ვიდრე მუშები, რომ იმათ ათასგვარი ხიფათი მოელით და სხვა. ბოლოს სთხოვს ფეიქრებს, იმის სახლის წინ არ იმღერონ „საზიზღარი" სიმღერა ქარხნის პატრონთა წინააღმდეგ. თუ ამას არ აასრულებენ, ემუქრება, პოლიციას მივმართავო. საწყალი ფეიქრები-კი საშინლად იტანჯებიან უფულობის გამო. იმ დროს, როდესაც დრეისიგერი და იმისი ოჯახი განცხრომას ეძლევა, როდესაც ის მარტო პრეფერანსის თამაშზე ჰფიქრობს, ფეიქრები შიმშილით იხოცებიან, თუმცა მთელ დღეს განუწყვეტლივ მუშაობენ. იმათ ძლიერ აკვირვებს ის გარემოება, რომ ისინი დღე და ღამ მუშაობენ, მაგრამ მაინც არაფერი რჩებათ. რისთვის არის ასეთი უკანონობაო, ეკითხებიან ისინი ერთმანეთს. მთელი დღე განუწყვეტლივ მუშაობა და ბოლოს სამი გროში! განა, ეს გასაკვირვი არ არის? განა, ეს გარემოება არ დააფიქრებს მწარედ საღ გონების მქონე ადამიანს? როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკუღმართობამ ჩვენი ფეიქრებიც დააფიქრა. მაგრამ არ იციან, რით ახსნან ეს ანომალია. მოხუცი ბაუმერტი ჰფიქრობს, ეს თვალსაჩინო უსამართლობა გაჩნდა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფემ ამის შესახებ არაფერი არ იცის და ამიტომ, იმის აზრით, კარგი იქნება, ვინმე წასულიყო ბერლინში და ეამბნა ყველაფერი მეფისთვის. ჯარის-კაცად ყოფილი ახალგაზდა ეგერი უხსნის მოხუც ფეიქარს, რომ მეფემ ყველა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2156.

ბი მიუცია ვისთვისმე. ჩემი შვილი ერთგულად და მხნედ ემსახურება რესპუბლიკას და სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი მტრები ასეთის ცილის-წამებით ავსებენ ჩემ შვილს (მარცხენა პარტია გაძლიერებულ ტაშს უკრავს).

ამის შემდეგ პალატა კენჭის ყრას შეუდგა და 333 ხმის უმეტესობით 3 ხმის წინააღმდეგ, ჟორესისა, მუზისა, სარიენისა და ეტიენის წინადადება მიიღო და მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგა. ეს წინადადება ამნაირი იყო:

„პალატა უსაზღვრო ზიზღს უცხადებს იმ ცილის-მწამებლებს, რომლებსაც სწადიათ ცილის-წამებით მთავრობას რესპუბლიკისათვის სასარგებლო შრომაში ხელი შეუშალონ და მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგება“.

ინგლისი. 11 მაისს დეპუტატმა კრემერმა დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანა, ლორდთა პალატის უფლება შეიზღუდოსო. ეხლა ლორდთა პალატას უფლება აქვს დეპუტატთა პალატისაგან დამტკიცებული კანონი მუდამ უარ-ჰყოს, ანუ, როგორც იურისტები ამბობენ, „ვეტო“ დასდოს. კრემერი თხოულობდა, ეს „ვეტოს“ უფლება ლორდთა პალატას მარტო ერთის საპარლამენტო სესიის დროს ჰქონდესო. კრემერი ამტკიცებდა, არც ერთ ევროპის სახელმწიფოში მემკვიდრეობით საფუძველზე დამყარებულს ზედა პალატას არა აქვს „ვეტოს“ მუდმივი უფლებაო. ორატორმა რამდენიმე მაგალითი გაიხსენა, თუ ინგლისის ლორდთა პალატა როგორ მუდმივ უარ-ჰყოფდა იმ კანონ-პროექტებს, რომლების დამტკიცებასაც ქვედა პალატა დაჟინებით თხოულობდა; სხვათა შორის, კანონ-პროექტი იმაზე, რომ ქვრივ კაცს თავის ცოლის დის შერთვის ნება ჰქონდესო, (როცა ცოლი გარდაიცვლება) ლორდებმა 13-ჯერ უარჰყვესო. თუ ამის იქითაც ასე იქნება, დეპუტატთა პალატას მეტი გზა არა აქვს, სასტიკობას უნდა მიჰყოს ხელი და ლორდთა პალატის თანამდებობის პირთა შესანახი კრედიტი აღარ დაამტკიცოს.

კრემერის წინადადებას ლაბუშერი გამოესარჩლა. ლაბუშერი ამტკიცებდა, ლორდთა პალატაში უმეტესობა ყოველთვის კონსერვატიულია და ამიტომ ლიბერალურ პარტიის მოქმედება სრულებით უნაყოფო ხდებაო. მთავრობის სახელით ელიოტმა ილაპარაკა. ელიოტმა სთქვა:

„თუმცა ჩვენი საკანონმდებლო სისტემა თეორეტიულად სრული არაა, მაგრამ მაინც რიგიანად მოქმედებს. 1832 წლის შემდეგ, ლორდთა პალატის შემწეობით ბევრი დემოკრატიული რეფორმები მოვახდინეთ. როცა ხალხი თავის სურვილსა და აზრს მკაფიოდ გამოსთქვამდა ხოლმე, აღარც ლორდები ეწინააღმდეგებოდნენ ხალხსა. საზოგადოდ უნდა მოვახსენოთ, რომ სამუდამოთ გაჰქრა ის დრო, როდესაც ლორდთა პალატა კანონპროექტებს მარტო თავიანთ კლასის პრივილეგიის თვალით უყურებდა. ორივ პალატა სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს და ერთი მეორეს როდი უნდა ემორჩილებოდეს“.

ამის შემდეგ კრემერის წინადადება 118 ხმით 62 ხმის წინააღმდეგ უარ-ჰყვეს.

ბალკანეთი. „პოლიტიშე კორესპონდენტ“-ის თანამშრომელს ბოლგარიის პირველ მინისტრ პეტროვთან უსაუბრნია. პეტროვს უთქვამს: ბოლგარიის მთავრობა მაკედონიის საქმეში თავ დაჭერითა და წესიერად მოიქცევა. ამისათვის მთავრობა არაფერს არ დაზოგავს, მაგრამ მთავრობა ამავე დროს იმ აზრისაა, რომ სასტიკობა მხოლოდ უკიდურეს რევოლიუციონურ მოძრაობის დროს გამოდგება, დანარჩენ შემთხვევებში კი ხალხის დამშვიდება და დაყვავება სჯობს. მთავრობა რაზმების შედგენის ნებას არავის მისცემს, არც ოსმალეთის საზღვარზე გადასვლის ნებას მისცემს ვისმეს, მაგრამ მთელ საზღვარს კი ვერ უდარაჯებს, მარტო მაკედონიელების მეთაურებს ადევნებს თვალ-ყურს და კანტროლს გაუწევს. ოსმალეთიც არ უნდა მოექცეს სასტიკად ბოლგარელებს, რომ ხალხი უარესად არ გაამწვავოს. წინანდელ მთავრობის განკარგულებას ეხლაც ვასრულებთ. თუ ჯარის სამსახურში მყოფი აფიცერი მაკედონელთა რაზმში შევა, ისე მოვექცევით, როგორც სამსახურიდან გაქცეულს, მაგრამ ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ აფიცერი მაკედონელთა რაზმში შესულიყოს. ის ბრალდება, ვითომ ბოლგარია იარაღსა და ასაფეთქებელ მასალას უზიდავდეს რევოლიუციონერებს—ცოცხალი ტყუილია. თუ ბოლგარია თავის უმთავრეს საქმეს—მაკედონიაში მკვიდრ ნიადაგის დამყარებას—შეასრულებს, მაშინ, იმედია, რუსეთიც მოიწონებს იმის ქცევას.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 23 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ-ნმა ი. ქ. სულხანიშვილმა საყურადღებო მოხსენება წარუდგინა ქალაქის მოურავს და სთხოვა გარდასცეს იგი განსახილველად ქალაქის საბჭოს. მოხსენება შეეხება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში **სამუშაო დროს გაწესრიგებას.** ბ-ნი სულხანიშვილი სწერს, რომ ყველგან ზრუნავენ ამისთვის და მხოლოდ ტფილისია ჩამორჩენილიო. ტფილისის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურენი მუშაობენ ყოველს დღე დილის 7-დან საღამოს 10—11 საათამდე, ე. ი. 14 საათს. ღვინის სარდაფებსა, მერძევეებთან, საკონდიტერო დაწესებულებებსა და სხვაგან მუშაობა ხშირად 18 საათამდეც არის ხოლმე. ასეთ მუშაობისაგან მოსამსახურეთა თითქმის 50% სნეულდება და უდროოდ ესალმება წუთი-სოფელს. ამასთან მოსამსახურენი და ნოქრები არც ხეირიან ჯამაგირს იღებენ, რომ ავადმყოფობის დროს ექიმს მაინც მიჰმართონ. თუ ავადმყოფობისა გამო ნოქარი ან სხვა მოსამსახურე ერთი კვირა სამსახურში ვერ მივიდა, სრულიად ითხოვენ და ულუკმაპუროდ სტოვებენ. სამართლიანობა მოითხოვს,—სწერს სულხანიშვილი, —ქალაქის თვითმმართველობამ ინიციატორობა იკისროს და გააწესრიგოს დრო მუშაობისა ხმოსანს საჭიროდ მიაჩნია საბჭომ ამოარჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი სავალდებულო დადგენილებათა მუშაობის დროს შესახებ.

◆ როგორც გვატყობინებენ, თიონეთის მაზრის ერწოს საზოგადოებაში 15 მაისს **დიდი სეტყვა** მოსულა. უფრო დაუსეტყვია ვაგრანეთი, ნაყანარა, დორეული და სხვა. სულ დაზარალებულა ათი სოფელი. დედამიწა თეთრად შეიმოსა თურმე, ისეთი სეტყვა მოსულა. სეტყვის შემდეგ კოკისპირული წვიმა წამოსულა. ადიდებულა ხევები და მდინარეები. რაც სეტყვას გადარჩა, ნიაღვარმა გააფუჭა. სეტყვამ და წვიმამ ათას დესეტინაზე მეტი ნათესობა დააზარალა. გააფუჭა ბაღები და ბოსტნებიც. ბევრგან სახლები წაულეკია და ნივთები წაუღია. მოხუცნი ამბობენ, რომ ამ უკანასკნელ 50 წელს ასეთი უბედურება არ გვახსოვსო. ჰფიქრობენ, შუამდგომლობა აღძრან, რომ სახელმწიფო გარდასახადი განაწილდეს და შემდეგ წლებში გამოერთვას მცხოვრებთ. კაცის თავსაც შეჰმთხვევია უბედურება. სოფელ ნაქალაქარში, წყალ-დიდობის დროს, მიწურში, რომელიც წყლით ამოვსებულა, დამხჩვალა გლეხის ცოლი პატარა ქალითურთ. მახლობელ სოფლის ერთ ხევში კიდევ გლეხი დამხჩვალა.. გვამი მეორე დღეს უპოვნიათ. ზარალი, როგორც გვწერენ, მეტად დიდია.

◆ 22 მაისს, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა გუბერნიის **საქალაქო საქმეთა საკრებულოს.** საკრებულომ, სხვათა შორის, განიხილა დადგენილება ტფილისის ქალაქის საბჭოსი, რომელიც შეეხება სკოლიდან გამგის სხვაგან გადასახლებას, თუ ამ გამგის ოჯახში რაიმე გადამდები სენი გაჩნდა. საკრებულომ უარჰყო საბჭოს ეს დადგენილება. შემდეგ საკრებულომ განიხილა საქმე ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებათ ყოფილთა კუზანოვისა და ხეროდინოვისა, რომელთაც ქალაქის ფულის გაფლანგვა ჰბრალდებოდათ. საკრებულომ დაადგინა, პასუხის გებაში მისცეს ორივე: კუზანოვი სასჯელთა დებულების მე-354 და 362-სა, ხოლო ხეროდინოვი მე-354 მუხლის თანახმად.

◆ ჰფიქრობენ, ამ ზაფხულს ტფილისში მოახდინონ ტფილისის გუბერნიის **გადასახადთა ინსპექტორების კრება.** კრებამ უნდა მოილაპარაკოს გადასახადების განაწილებასა და მოკრეფაზე.

◆ პროფ. მარრის წინადადებით, როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, საიმპერატორო საარქეოლოგო კომისიას გადაუწყვეტია გამოსცეს **ქართულ და სომხურ ძველ წარწერათა კრებული.** წარწერების შესწავლას და გადაღებას, როგორც უკვე ვწერდით, ამ ზაფხულს შეუდგებიან ბ-ნ მარრის მეთაურობით.

◆ 22 მაისს, საღამოს 8 საათზე, **ცეცხლი გაუჩნდა იუნკერთა სასწავლებლის შენობას.** პირველად ცეცხლი გაჩნდა სახურავში, მიხეილის ქუჩის მხრივ. ცეცხლი გვიან შენიშნეს. ყველას შეეშინდა და შეუდგნენ ავეჯისა და ნივთების ზიდვას. აცნობეს პოლიციას და მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და ჯარი. 10 საათისთვის ცეცხლი ჩააქრეს. ჩაქრობას დაესწრო, სხვათა შორის, კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი.

◆ გუშინ, 23 მაისს, ეგზამენები **დამთავრდა** ქალაქის ყველა პირველ დაწყებით სკოლაში. ეგზამენებს ესწრებოდნენ სახალხო სკოლების დირექტორი და ინსპექტორი. სულ სწავლა 200 ბავშვამდემ დაამთავრა.

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციამ ერთხელ კიდევ მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, იზრუნოს **წყლის მიდის** მოწყობისათვის. ადმინისტრაცია სწერს, რომ ქალაქს ხშირად აკლდება წყალი ან უვარგისი წყალი აქვს, რის გამო მცხოვრებნი გაჭირვებაში არიანო.

◆ ტფილისის ბაღების მეთვალყურე კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ **ალექსანდრეს ბაღის** შუა და ზემო ნაწილში კვირა-უქმეობით ყველას მიეცეს ნება სეირნობისა.

◆ ტფილისიდან ამ ბოლო დროს ოსმალეთის ქვეშევრდომი **სომხები ამერიკაში მიდიან.** ზაფხულის მოახლოვებისათანავე, ყოველ დღე პოლიცმეისტერთან ათ-ათი კაცი შედის და პასპორტებსა თხოულობს.

◆ **ტრამვაის მეთვალყურე კომისიის** თავმჯდომარემ შეატყობინა გამგეობას, რომ ტრამვაის პატრონნი არ ასრულებენ სხვა და სხვა დადგენილებასა და გადაწყვეტილებასაო. თავმჯდომარე სთხოვს, ნება მიეცეს კომისიას, საქმე პირდაპირ ტრამვაის გამგეობასთან იქონიოს, რომ დადგენილებანი აასრულებინოს.

◆ 22 მაისს საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა **სიღნაღის მოურავის მოხსენება** დასაფასებელ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ იმ უძრავ ქონებისა, რომელსაც არავითარი შემოსავალი არა აქვს ან მცირე შემოსავალი აქვს. საკრებულომ დაადგინა, წინადადება მისცეს სიღნაღის ქალაქის მოურავს, ეს საკითხი განსახილველად წარუდგინოს ჯერ ქალაქის რწმუნებულთა კრებას და შემდეგ იმათ მოსაზრებასთან ერთად გაუგზავნოს საკრებულოს.

◆ იმ უფროსმა მუშებმა, რომელნიც ქუჩებისა და მოედნების განათებას თვალ-ყურს ადევნებენ, სთხოვეს ტფილისის ქალაქის მოურავს, იშუამდგომლოს გუბერნატორის

ფერი კარგად იცის, რომ ფეიქრების აუტანელ ცხოვრების შესახებ არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა წერილები გაზეთებში, მაგრამ მეფე ამას ყურადღებას არ აქცევსო. ეგერის აზრით, დღევანდელი კანონმდებლობა იცავს მაძღარ ხალხის ინტერესებს, იცავს ამ ქვეყნის ძლიერთ და სამაგიეროდ ავიწროებს მუშა ხალხს. იმან იცის ისიც, რომ რამდენადაც ხალხი დაბეჩავებული და შეუგნებელია, იმდენად სხვები უფრო სარგებლობენ. გაიღვიძებს თუ არა მშრომელი ხალხი, გაიღვიძებს თუ არა პიროვნება, მაშინ დღევანდელ წყობილების დღეები დათვლილი იქნება, მაშინ სამუდამოდ მოისპობა ექსპლოატაციაზე დამყარებული წყობილება. ამიტომაა, ეგერის აზრით, რომ სცდილობენ ხალხი შეუგნებელი დარჩეს; ამისთვის ძლიერ ცოტასა ჰზრუნავენ ხალხის განათლებისათვის, ხარჯავენ უზომოდ ხალხის მიერ შეგროვილ სიმდიდრეს სრულიად უმნიშვნელო საგნების მოსაპოებლად, ხალხის აუცილებელ მოთხოვნილებებს კი არ აკმაყოფილებენ. ეხლანდელი წყობილება ბორკავს პიროვნებას, პრესისა, სიტყვისა, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას. ასეთია, ეგერის აზრით, დღევანდელი წყობილება და ამიტომაც ეგერს არა აქვს მოხელეთა იმედი. ეგერი, რომელიც კარგად იცნობს თანამედროვე წყობილებას, უხსნის ამხანაგებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას და რომ უფრო დიდი გავლენა იქონიოს მსმენელებზე, უკითხავს ასაღელვებელ ლექსს, რომელშიაც დასურათებულია დღევანდელი წყობილება. ამ ლექსმა ისე აღელვა მოხუცი ფეიქრები, რომ გაიძახიან: „ასეთი მდგომარეობა უნდა გამოიცვალოს, ეხლავე უნდა შეიცვალოს. ჩვენ არ გვინდა მეტი მოვითმინოთ! ჩვენ არ მოვითმენთ მეტს, მოხდეს ის, რაც მოხდება!“ საკუთარი გამოცდილება არწმუნებთ, რომ ყველა ის მართალია, რაც ლექსში სწერია. უამბობენ ერთმანეთს გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ და სწადიათ როგორმე საქმით დაამტკიცონ თავიანთი აღელვება. გაჭირვებამ ბევრი რამ ასწავლა ფეიქრებს, იმათ უკვე იციან, ვინ არის მტერი, უკვე შეიგნეს თავიანთი საცოდავი მდგომარეობა, იციან, ვინ აძრობს, ვინ ართმევს ლუკმა პურს. საკმაოა უბრალო შემთხვევა და ამბოხებას მოახდენენ.

ამ სიმღერას ისინი ხშირად მღერიან დრეისიგერის სახლის წინ და მით ძილს უფრთხობენ პატივცემულ ფაბრიკანტს; მღერიან რესტორანებში და საზოგადოდ ყველგან, სადაც შეიძლება იმღერონ. ფეიქრების მომავალი აღელვება ყველას აკვირვებს, ყველა ჰფიქრობს, რომ რაღაც უნდა მოხდეს, მაგრამ არ იციან კი ნამდვილად რა მოხდება. ყველა ფეიქრებზე ლაპარაკობს. დრეისიგერის კაცები წამ და უწუმ გაიძახიან, რომ ფეიქრებს კარგი ქირა ეძლევათ, რომ თუ ისინი მიუხედავად ამისა, მაინც უკმაყოფილონი არიან, ეს ამიტომ, რომ ფეიქრები ზარმაცები არიანო და სხ. ფეიქრები მკვახედ ეუბნებიან ასეთ ვაჟბატონებს, რომ თქვენ დრეისიგერის ყმები ხართ და, რასაკვირველია, სიმართლეს არასოდეს არ იტყვითო. აი, საყურადღებო საუბარი ერთ ამ ვაჟბატონთაგანისა ფეიქრებთან:

კომმივოიაჟერი: გამიგონეთ, ჩემო ძვირფასო! ამ საპიროების შესახებ სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს საზოგადოებაში. თუ თქვენ კითხვა იცით...

ხორნიგი (ფეიქარი). რა გაზეთიც უნდა იყოს, თქვენზე ნაკლებად არ წავიკითხავ. როგორ არ უნდა ვიცოდე! აქაურ ხალხთან ძლიერ ხშირად მქონია სჯა-ბაასი. თუ რომ აქ ორმოცი წელი გიცხოვრიათ, ბოლოს რაიმე გეცოდინებათ. ფულერნში ხომ იცით, რა მოხდა? ბავშვები ბატებთან ერთად ნაგავში იქექებოდნენ. ადამიანები შიშველ-ტიტველნი კვდებოდნენ, ლოგინში კი არა, ქვის იატაკზე. ისეთი გაჭირვება იყო, რომ აყროლებულ წებოს სჭამდნენ. შიმშილი ასობით და ათასობით ანადგურებდა იმათ.

კომმივოიაჟერი. თქვენ რომ კითხვა იცოდეთ, მაშინ გეცოდინებოდათ ისიც, რომ მთავრობამ ამის შესახებ გამოძიება მოახდინა და...

ხორნიგი. ჩვენ კარგად ვიცით... ძალიან კარგად. მობრძანდება ვინმე ბატონი, მთავრობის მიერ გამოგზავნილი რომელსაც არაფერი არ უნახავს და ყველაზედ უკეთ იცის ყველაფერი. გაისეირნებს რუის პირად, სწორედ იქ, სადაც საუკეთესო სახლებია. იმას არ უნდა დაისვაროს სუფთა წაღები. გადასწყვეტს, რომ უთუოდ ყველგან ასე კარგად არის საქმეო, ჩაჯდება ეტლში და წაბრძანდება უკან. შემდეგ კი მისწერს ბერლინში, რომ არავითარი გაჭირვება არ აღმოჩნდაო. თუ იმას საქმის გარკვევა ჰსურდა, მაშინ თავს შეიწუხებდა, სოფელში შებრძანდებოდა და შეიხედავდა იმ ღარიბ-ღატაკთა ქოხებში, აი განაპირას რომ დგანან. ეს ძველი ბუდეები ისე დახავსდნენ, რომ წუმწუმაც-კი შეგშურდებათ იმის დასაწვავად. ყველა ეს რომ ენახა იმ ვაჟბატონს, მაშინ არ მისწერდა ბერლინში ჭორს. ჩემთვის რო მოემართათ ამ ვაჟბატონებს, მე იმათ თვალებს ავუხელდი, დავანახვებდი სიღარიბეს, შიმშილს და გაჭირვებას!

ეს ვაჟბატონი (კომმივოიაჟერი) რესტორანიდან გააძევეს ფეიქრებმა. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ჟანდარმი, რომელიც აფრთხილებს ფეიქრებს: ნუ მღერით დრეისიგერის წინააღმდეგ, თორემ სასტიკად დაგსჯითო. ამ ჟანდარმის და ერთ მოხუც ფეიქრის, ვიტტიხის შორის ასტყდება ჩხუბი. ვიტტიხი ცხარობს და საშინლად ლანძღავს ჟანდარმს. ის საჯაროდ აცხადებს, ვინ არის ჟანდარმი კუტშე. ამ ჟანდარმს თურმე ერთი ფეიქრის ქალი გაუუპატიურებია, მწარედ გაულახავს სრულიად უდანაშაულო ბავშვი და ვინ იცის რა სისაძაგლე არ ჩაუდენია. ყველა ეს გაუხსენა ეხლა ვიტტიხმა ჟანდარმს, რომელიც მალე მოშორდა აღელვებულ მუშებს. ამის შემდეგ ფეიქრები მიდიან დრეისიგერის სახლის დასანგრევად. ჯერ მღერიან და შემდეგ, როდესაც ფეიქრებმა სცემეს მაგრა ადგილობრივ პოლიციის უფროსს, როდესაც არ გასჭრა პასტორის სიტყვებმა, შევიდნენ დრეისიგერის სახლში და კიდევაც გაანადგუ-

ივერიელი

წინაშე, რომ იმათ **იარაღის ტარების ნება მიეცეთ**, რადგან ღამე ქალაქის განაპირა ადგილებში უხდებათ სიარული, რაც ძალიან საშიშია.

◆ როგორც ამას წინად ვწერდით, წელს **წილის ამოსაღებად** ტფილისიდან გაწვეულია 543 კაცი. აქედან ქართველი და სომეხი 340 კაცზე მეტია. ებრაელი 25 კაცია. პირველ ხარისხის შეღავათი აქვს 132 კაცს, მეორე ხარისხისა—38 და მესამე ხარისხისა—12 კაცს.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ **განჯის ვაჟთა გიმნაზიას** დაუთმო 10 დესეტინა სახაზინო მიწა. ეს მიწა მდებარეობს განჯიდან შვიდის ვერსის მანძილზე. გიმნაზიის მთავრობა ჰფიქრობს ამ ადგილზე ფერმისა და მოსწავლეთა ახალშენის გაშენებას.

◆ **გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ვაზზაგის სახელობის ქალთა სკოლის გამგეობამ მიიღო მარიამ ქრისტეფორეს ასულის უგრეხელიძისაგან სკოლის შესაწევრად ბანკში მოგროვილი 26 მან. 80 კაპ. გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის მარიამ უგრეხელიძეს და ყველა იმ ბანკის შემომწირველთ, რომელთაც არ დაიშურეს კეთილ-საქმისთვის ხელის შეწყობა.“**

◆ **აპრილის განმავლობაში ქალაქის კასას მიუღია: დასაფასებელ გადასახადისა—17,263 მან. 50. კაპ, სამრეწველო მოწმობებისა—2,168 მან., სატრაქტირო სამრეწველო დაწესებულებათა—5,761 მან. 26 კაპ. ცხენებისა და ეტლების გადასახადისა—3,427 მან., წყლის მიღისა—6680 მან., საყასბოსი—3664 მან. და სხვა სულ 63,186 მან. 70 კაპ.**

◆ **უწმ. სინოდს 2000 მანეთი მეტი გადაუდვია ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის კრებულისთვის ჯამაგირების მოსამატებლად.**

◆ **მაღაროსკარიდან (ფშავი) გვწერენ: ადგილობრივ ბოქაულის ი. ოზიაშვილის შეცადინეობით ამ სოფელში ფშაველებმა ააგეს ორ-სართულიანი სახლი სასოფლო სამმართველოსთვის. ეს სახლი 50 თუმანზე მეტი დაუჯდათ ფშაველებს. სოფლის მწერლად ფშაველებს ერთხმად ამოურჩევიათ ადგილობრივ სკოლის მასწავლებელი ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილი.**

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც ვავიგეთ, ქალაქის გამგეობას განუზრახავს, თეატრი ელექტრონით გაანათოს. ელექტრონის ძალა მ. ლალიძის ქარხნიდან უნდათ გაიყვანონ.

◆ მოაწია აბრეშუმის მოსავალმა და ჩარჩებ-ვაჭრებმაც დაიწყეს სოფელ-სოფელ სიარული და ეხლავე ბეს უტოვებენ მწარმოებელთ. პარკის მოსავალი, როგორც ამბობენ, კარგი იქნება, უფრო ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში აქებენ მოსავალს. საჭიროა, მეაბრეშუმეთა ამხანაგობებმა გადაარჩინონ მწარმოებელნი ჩარჩ-ვაჭრების კლანჭებისაგან.

◆ ქალაქის გამგეობამ 21 მაისსაც მოიწვია რამდენისამე საქმის განსახილველად საფინანსო კომისია, მაგრამ სხდომა კიდევ არ შესდგა, რადგან ერთის წევრის მეტი არ გამოცხადდა. იმავე დროს რამდენიმე წევრი მ. ლალიძის წყლების ქარხნის წინ შეექცეოდნენ ცივ წყალს.

რუსეთის ქრონიკა

◆ საბოლოოდ გადაწყდა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთ.

◆ ფინანსთა სამინისტროს ცნობებით, 1896-დან 1903 წლის იანვრამდე ამ სამინისტროს რუსეთში დაუარსებია 149 სხვა-და-სხვა ტიპის საკომერციო სასწავლებელი. დღეს ამ სკოლათაგან არსებობს 147. უმრავლესობის დაარსებაში ხაზინას თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. სულ 147 სკოლაში ამ ჟამად 2,180 მასწავლებელი და 32,251 მოსწავლე ყოფილა.

◆ საიუბილეო დღესასწაულმა პეტერბურგში ბევრს დიდი ზარალი მოუტანა. ზოგმა, ასე გასინჯეთ, ბავშვებიც კი დაჰკარგა. 16 მაისს შემდეგ განცხადება-განცხადებაზე მისდის პოლიციას. ატყობინებენ, დღესასწაულების დროს ბავშვები დაგვეკარგნენო.

◆ მოგეხსენებათ, რკინის გზის სახელოსნოებში მახლობლად მცხოვრებთ რამდენ უსიამოვნებას აყენებს ორთქლ-მავალებისა და კომლის მილების სტვენა. გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა, ამიერიდან აღიკრძალოს სტვენა.

◆ ვორონეჟში, ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის ერთი მოსწავლე მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდნილა. რაღაც მანქანებით, ქალი ცოცხალი გადარჩენილა, თუმცა ძალიან დაშავებულა. ქალს თავის მოკვლა ჰნდომებია. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ერთი აღმზრდელი ქალი მეტად ცუდად ექცეოდა თურმე.

◆ გზათა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი ცეცხლის მქრობელთა თავისუფალ რაზმებისა. ასეთი რაზმები უნდა დაარსდეს რკინის გზებზე. წესდება გზის უფროსებს გაეგზავნათ თავიანთ აზრის წარსადგენად.

◆ როგორც ვუწყით, მთავრობამ ნება დართო, რომ უნივერსიტეტებთან დაარსდეს, პროფესორების ხელმძღვანელობით, სტუდენტთა სხვა-და-სხვა საზოგადოებანი. სხვათა შორის, მოსკოვში დაარსდა სტუდენტთა საისტორიო და საფილოლოგიო საზოგადოება. ამ საზოგადოებამ, პროფესორის ს. ნ. ტრუბეცკოის წინადადებით, გადასწყვიტა, გამართოს ამ ზაფხულს სამეცნიერო მოგზაურობა საბერძნეთში.

◆ გაზეთ „ვოსხოდ“-ს მეორედ გამოეცხადა გაფრთხილება ერთის წერილის დაბეჭდვისათვის. ამ წერილს სათაურად ჰქონდა: „წერილი ოდესიდან“.

◆ მეტად თავხედური ქურდობა მომხდარა მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე. ქურდებს ღამე გაუქურდიათ მიმავალ მატარებლის მეორე კლასის ვაგონი. მგზავრებს სძინებიათ. წაუღიათ ტანისამოსი და რაც რამ ვაგონში ბარგი ყოფილა. ბევრ მგზავრს აღარაფერი გააჩნდა, რომ ჩაეცვა. როდესაც მატარებელი მოსკოვში ჩასულა, მგზავრებს ნაცნობებში კაცები გაუგზავნიათ და ტანისამოსი უთხოვნიათ; ზოგი კიდევ დახურულ ეტლით სასტუმროში წასულა.

პრესსა

ხშირად უმნიშვნელო დანაშაულობისათვის ბავშვებს გიმნაზიაში სასტიკად სჯიან და ბევრჯელ აგდებენ კიდეც სასწავლებლიდან. ამ გვარ სისასტიკეს დიდი ხანია უჩივის პრესსა და საზოგადოება. „ნოვ. ვრ.“ სწერს:

> მოსწავლეების დათხოვნა სენად გადაიქცა გიმნაზიებში. ითხოვენ თვით უმნიშვნელო დანაშაულობისათვისაც-კი. ზოგგან მეტად გულ-გრილად ეკიდებიან ბავშვების დათხოვნას და ისე წელიწადი არ გაივლის, რომ სასწავლებელს გარედ რამდენიმე ნიჭიერი ბავშვი არ დარჩეს. ჩვენი პედაგოგია ამ შემთხვევაში მეტად დაურიდებლად იქცევა. პირზე მუდამ ის აკერია, რომ „ქეციანი ცხვარი სხვასაც გააქეციანებსო“. ავიწყდება, რომ პედაგოგიის მოვალეობას, სხვათა შორის, ისიც შეადგენს, გაასწოროს და კეთილ გზაზე დააყენოს გზა-დაბნეული ცხოვარი. იგი უფრო ადვილ საქმეს ამჯობინებს: ითხოვს სრულიად მოსწავლეს და ამით ყოველ შრომასა და მეცადინეობას იმის გასასწორებლად თავიდან იშორებს. მართლაც და დათხოვნაზე ადვილი რა არის! დათხოვნის დროს აინუნშიაც არ აგდებენ ბავშვის სულის ვითარებას. რამდენი მაგალითია, რომ ნაფიცი მსაჯულნი დიდ დამნაშავეს ამართლებენ და სასჯელის ღირსად არა სცნობენ. ნუთუ ბავშვს, ჯერ კი გამოუცდელს და გაუნათლებელს, საშეღავათო და სასჯელის შესამსუბუქებელი არა მოეპოვება რა? ხშირად დათხოვნის მიზეზი ბავშვის ცოცხალი ბუნება, სიმკვირცხლე, ცნობის მოყვარეობაა, ე. ი. ითხოვენ უფრო ისეთებს, რომლისთვისაც ბუნებას მეტი სიცოცხლე მიუნიჭებია.

* * *

პეტერბურგის იუბილეის გამო გაზეთები პეტრე დიდის დროს ცხოვრებას იგონებენ. სხვათა შორის, „თეატრი და ისკ.“ მოგვითხრობს მაშინდელ თეატრის ამბებს.

> იმპერატორი პეტრე დიდ მონაწილეობას იღებდა სათეატრო საქმეში და თვალ-ყურს ადევნებდა რეპერტუარს. ერთხელ იმპერატორმა უბრძანა არტისტებს, წარმოედგინათ უსათუოდ სამ მოქმედებიანი პიესა; ამასთან ეს პიესა არ უნდა ყოფილიყო არც ძალიან სამწუხარო შინაარსისა, არც ძალიან სერიოზული და არც ძალიან საოხუნჯო. პიესაში სასიყვარულო ხრიკები არ უნდა ყოფილიყო. ასეთ ბრძანების ასრულება, რასაკვირველია, ძნელი იყო, ამიტომ „დამნაშავე“ არტისტებს ხშირად როზგით აჯილდოვებდნენ. როგორც ბერხჰოლცი მოგვითხრობს, ერთს არტისტს ორასი როზგი უთავაზეს მხოლოდ იმიტომ, რომ აფიშების დარიგების დროს გამვლელ-გამომვლელთ პურისთვის ფულსა სთხოვდა. დასაჯეს აგრეთვე ამ არტისტის ერთი ამხანაგი, ხოლო შეკრებილი ფული, ბრძანებისამებრ, უკანვე დაარიგეს.

თეატრი

პეტერბურგში ამ საიუბილეო დღესასწაულების დროს ერთი საოხუნჯო პიესა (ნახევრად ოპერეტტა) წარმოუდგენიათ. სახელად პიესას „ორასის წლის პეტერბურგი“ ჰქვიან. ავტორს პიესაში მოქმედ პირად გამოჰყავს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქები. პიესა სულ ერთი მოქმედებაა, სწარმოებს იგი რკინის გზის სადგურზე: ბიუროკრატი-პეტერბურგი ამ სადგურზე საიუბილეოდ ჩამოსულ სტუმრებს ეგებება. პირველი, რასაკვირველია, მოსკოვი ჩამოხტა მატარებლიდან—ახალგაზრდა რუსულ ტანისამოსში გამოწყობილი ლამაზი ქალი. შემდეგ სხვებიც მოვიდნენ: რუსის ტიპიური ვაჭარი—ნიჟნი-ნოვგოროდი ახალგაზრდა „მამზელთან“ ერთად (ეს მამზელი იარმარკაა); ამ „მამზელს“ მეტად გულმოდგინედ ეარშიყებიან ახლად მოსულნი „აღმოსავლეთის კაცნი“, სხვათა შორის, ტფილისი და ბაქო. პატარა ხანს უკან ჩამოხტა ახალგაზდა, კოხტა მანდილოსანი—ეს იალტა გახლავთ. ასევე თავისებურად სხვა ქალაქებია არიან გამოწყობილი. სალაპარაკო მეტად საოხუნჯო და სასაცილოა. საზოგადოებას ძალიან მოსწონებია ეს ერთ მოქმედებიანი პიესა. მთელ მოქმედების განმავლობაში სიცილი და ხარხარი არ შეწყვეტილა. სხვათა შორის, ტფილისისა და ბაქოს დუეტი უთამაშნიათ. საზოგადოებას ისე მოსწონებია, რომ რამდენჯერმე გაუმეორებინებია.

—

დრამატიულ ცენზურას პეტერბურგში ეხლახან 42 პიესა განუხილავს და წარმოდგენის ნება დაურთავს. ეს პიესები სულ პეტერბურგის საიუბილეოდ არის დაწერილი.

—

ფრანგთა ცნობილი პოეტი და დრამატურგი ედმონდ როსტანი ამ ჟამად სამ დრამასა სწერს თურმე. სამივეს მომავალ სეზონს წარმოადგენენ „კომ. ფრანსეზ“-ში. ერთს სახელად „თეატრი“ ჰქვიან, აწერილი და დახატულია არტისტთა ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი და სხვა. მეორე პიესის გმირად ჟანნა დ' არკია.

აქვე მოვიხსენებთ, რომ წარსულს სეზონში „კომ. ფრანსეზ“-ს წმინდა მოგება დარჩენია 400 ათასი მანეთი.

წერილი ზემო ქართლიდან

მოუსავლობა და ხალხ-ს გაჭირვება.—რუსულად წირვა-ლოცვა.

„თავად არ იყო ქმარით და შიგ გაურიეს წუნდიო“, სწორედ ჩვენს ბედკრულს ზემო-ქართლზე ითქმის. თვითონ გადატაკებულნი იყვნენ აქაური მკვიდრნი და ახლა ხომ სულ ცეცხლზე წყალი დაესხმებათ წრევანდელ მოუსავლობით. დაუსრულებელმა ზამთარმა ისე მოაშთო დათესილი პურები, რომ ხელმეორედ ახნეს და სიმინდები და-

---

რეს. დრეისიგერი და იმისი ოჯახობა კი გაიპარნენ. ფეიქართა უბანში დიდი აღელვებაა. არეულობაში მონაწილეობას იღებენ ახალგაზდები და ბებრებიც. უკანასკნელნი საოცარის აღტაცებით ეგებებიან ფეიქართა გამოღვიძებას და აქტიურ მონაწილეობასაც იღებენ ამ მოძრაობაში. როდესაც ერთ მოხუც ბაუმერტს უსაყვედურებენ, რად იღებ მონაწილეობასაო, ის ასეთ პასუხს აძლევს: მე მოხუცი ვარ, მოხუცმა კი ხანდახან ძალა-უნებურად უნდა დაუჯეროს ახალგაზდებსო. ბოლო ხანს მუშები დადიან ერთად ქუჩებში. პოლიციელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე გაჰფანტონ მუშები, მაგრამ ამაოდ. უფროსმა უბრძანა იქვე მყოფ ჯარის-კაცებს, რომ თოფი ესროლათ მუშებისათვის. კიდევაც ესროლეს, ბევრიც მოჰკლეს, მაგრამ თავგანწირული ფეიქრები მედგრად იბრძოდნენ. იმათ არ ეშინოდათ არც თოფისა, არც ხიშტებისა. მებრძოლთა რიცხვი თან-და-თან მრავლდებოდა; მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ ბრძოლაში ქალებიც. ქუჩა ფეიქართა სისხლით შეიღება. ამან კიდევ უფრო გააშმაგა მუშები და ბოლოს, როგორც იქნა, გაიმარჯვეს. მუშებმა მიჰმართეს ფაბრიკანტების სახლებს და მკითხველი თვითონ მიჰხვდება, რას უზამდნენ ამ მორთულ სახლებს. ამით თავდება დრამა.

როგორც ჰხედავთ, ავტორი კარგად ახასიათებს თანამედროვე სოციალურ წყობილებას. პიესაში დახატულია მუშათა ყოფა-ცხოვრება, იმისი სიღარიბე, ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის; დახატულია ბურჟუაზია, მთელი წყობილება. ამიტომ ეს პიესა შეგვიძლიან შევადაროთ ზოგიერთ კლასიკურ პიესებს. მართლაც, პიესა ნათლად გვიშლის თვალწინ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ნათლად ვხედავთ, რა ნაირ ნიადაგზეა დამყარებული ეს საზოგადოება. ნათლად ვხედავთ, სიღარიბეს, აუტანელ გაჭირვებას, მოძრაობას, ამაყ, გამბედავ სულს, საოცარ თავგანწირვას. ჰაუპტმანი ისე კარგად გვიხატავს ყველა ამას, რომ მკითხველის სიმპატია უთუოდ ამ დაბეჩავებულ კლასისკენაა. იმის მედგარი ბრძოლა თანასწორობისათვის ძალაუნებურად გვიტაცებს და იმედს გვაძლევს, რომ მალე შესაძლებელი იქნება ახალ საზოგადოების შექმნა, შესაძლებელი იქნება ეხლანდელ საზოგადოების დამხობა. თუმცა პიესის შინაარსი, როგორც ვსთქვით, აღებულია განვლილ საუკუნის მეორმოცე წლების ცხოვრებიდან, მაგრამ დრამა თანამედროვე სოციალურ მოძრაობას გვიხატავს და არა იმ მოძრაობის ერთ ეპოქას. პიესა ნათლად გვიჩვენებს, თანამედროვე წყობილების საფეხურებში დაბლა და მაღლა მყოფთ.

ამგვარად, თანამედროვე საზოგადოებაში ვხედავთ, ერთის მხრივ, აუარებელ სიმდიდრეს, განცხრომას, მეორეს მხრივ—აუტანელ სიღარიბესა და ტანჯვა-ვაებას. სიღარიბეს ბრძოლის ველზე გამოჰყავს ხალხი. ის იბრძვის ექსპლუატატორთა წინააღმდეგ. იმის საბოლოო მიზანს შეადგენს სოციალურ თანასწორობის დამყარება ამ ქვეყნად, ჰსურს, რომ ყველა თანასწორი იყოს, ყველა შრომობდეს, ყველას შეეძლოს თავის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მეორე ნაწილი საზოგადოებისა სცდილობს, რომ როგორმე ხელი შეუშალოს მებრძოლთ, ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე დააბულუროს ეს რაზმი. მაგრამ, ჰაუპტმანის აზრით, მებრძოლთა რიცხვი თან-და-თან მატულობს. ამიტომ თანამედროვე წყობილება დაემხობა და დამყარდება ნამდვილი ადამიანური განწყობილებაო.

ჰაუპტმანის „ფეიქრებში“ ყველა ეს მშვენიერად დახატულია. პიესაში ბევრი ტრაგიკული მომენტია, ბევრი ისეთი რამ, რაც ძლიერ მწარედ დააფიქრებს ყველას. ჰაუპტმანის პიესათა შორის „ფეიქრები“ სამართლიანად ითვლება საუკეთესო პიესად. თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში ძლიერ გაიტაცა ამ დრამამ საზოგადოების ის ნაწილი, რომლის ცხოვრებიდანაცაა აღებული შინაარსი. ევროპის მწერალთა შორის ჰაუპტმანმა პირველად დაგვისურათა პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრება, პროლეტარიატის ბრძოლა. ჰაუპტმანმა პირველად დაგვისურათა ხელოვნურად თანამედროვე სოციალურ კლასთა განწყობილებანი.

ამრიგად, განვიხილეთ ჰაუპტმანის სოციალურ-ფსიხოლოგიური დრამები—„მზის ამოსვლის წინ“ და „ფეიქრები“—და დავინახეთ, რომ ამგვარ დრამებში ჰაუპტმანი მშვენივრად ახასიათებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, განსაკუთრებით ამ საზოგადოებაში გამეფებულ ეკონომიურ განწყობილებებს. ამ შემთხვევაში იმას ტოლი არა ჰყავს. ორსავე დრამიდან კარგად სჩანს, ვისკენაა მიმართული ავტორის სიმპატია, ნათლადა სჩანს, ვის უნდა თანაუგრძნობდეს მკითხველიც. მაგრამ ამავე დროს ჰაუპტმანი არ არის უბრალო აპოლოგეტი რომელისამე კლასის ან გმირისა, იგი, როგორც ნამდვილი მხატვარი, ობიექტიურად გვიხატავს საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეს ობიექტიური დასურათება ბურჟუაზიულ საზოგადოებისა ნათლად გვიმტკიცებს ამ საზოგადოების სრულ უვარგისობას, ბურჟუაზიულ განწყობილებათა შეცვლის საჭიროებას. ასეთი ობიექტივიზმი კი ჰაუპტმანს უნდა ამაღლებდეს შეგნებულ მკითხველის თვალში, იმ მკითხველისა, რომელსაც შეუძლიან სახელოვნო ნაწარმოების დაფასება. დავინახეთ აგრეთვე, რომ სოციალურ დრამებში ჰაუპტმანი უმთავრესად ეხება კოლლექტიურ ფსიხოლოგიას და არა ამა თუ იმ მომქმედ პირის ინდივიდუალურ ცხოვრებას.

ეხლა შევეხოთ ინდივიდუალურ ფსიხოლოგიის დრამებს.

ივ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება).

თესლს. ბევრმა ვერც იმისი დათესვა მოასწრო, რადგან გვიანობამდე არ გამოშრა, რომ თავის დროზე დაეთესლიეთ. მომწიფებულმა ნაწილმა იმედი არ დაჰკარგა და დაღონებულ-დაძმარებული თავის მომცდარ ყანას დასცქეროდა და იმედოვნებდა, მაისის ყუყუნა წვიმებით იქნებ გამოკეთდესო, მაგრამ იმედი გაცრუვდა, ვიდრე წვიმებმა უშველეს ვერაფერი და სისხლ ჩაღვრით ნამუშევარ მიწებში საქონელს დააწყებინეს ძოვება. რაც კი აქა-იქ გადარჩა მოუმწიფარი, ისიც სულ ცარიელი ბალახია და თესლსაც ვერ აავსებს, არამც თუ სარჩო მოვიდეს. დაღონებულა ზემო ქართლელი გლეხი, აღარ იცის, რა ჰქნას და ვის რითი გასცეს პასუხი: მებატონეს, მღვდელს, სახელმწიფო გარდასახადს, მამასახლისს, მენახირეს, მევლეს და ათას სხვას. მოუსავლობას ვინ უყურებს: მაადგებიან გლეხს გაუმაძღარის თვალით, გაღიზებულის ხანახით და ფეხების ბრაგი-ბრუგით და ეუბნებიან, მოგვეცით და მოგვეცით. რასაკვირველია, ამ დროს მევახშე გლეხს ციდან მოვლენილ ანგელოზად მოეჩვენება.

უველაფრით დაჩაგრულია ზემო-ქართლელი გლეხი, როგორც სიღარიბით, ისე გაუნათლებლობით. ძვირად შეჰხვდებით იმისთანა გლეხს, რომ ან წერა-კითხვა იცოდეს და ან რუსული ენისა გაეგებოდეს რამე. მიუხედავად ამისა, ერთმა აქაურმა მღვდელმა მოსპო ეკკლესიაში ქართულად წირვა-ლოცვა და დაიწყო რუსულად. გლეხებმა რომ რუსულის ენისა ვერა გაიგეს-რა, დაუწყეს ხვეწნა, ისევ ქართულ ენაზე სწირეთ და ილოცეთ, რომ გავიგოთო, მაგრამ იმათი თხოვნა შეუსრულებელი დარჩა, რადგან, როგორც თვითონ უპასუხა მრევლს, ქართული ენა შესძულებია.

სერგი ხუცესი

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). სოფლელებს მოსვენება არა აქვთ ჩვენებურ ჩარჩებისაგან. ფასის დაკლებამ თქვენი ჭირი წაიღოს! სამწუხარო უფრო ის არის, რომ ჩარჩებისთვის სასწორი მხოლოდ ფორმისთვის არის და არა ასაწონად.

ყოველ დღე ათ-თორმეტ ვერსის სიშორიდან მოდიან გლეხები, მოაქვთ ხილით დატვირთული ურმები და მოჰყავთ ცხენები. ზოგსაც გადაუგდია მხარზე კალათი ან გოდორი და რის ვაი-ვაგლახით და ოფლის წურით მოათრევს, რითა ოროოდე გროში აიღოს, მაგრამ ვაი იმათი ბრალი! ჩამოვლენ თუ არა ბაზარში, მაშინვე ორგობით მისცვივდებიან ჩვენი ჩარჩები, ჩაიგდებენ შუაში გლეხს და იწყებენ კალათში ჩხრეკას. თან გამოცდილის სიტყვებით მოუყვებიან ფასის შესამედის ძლევს და იმდენს ეჩიჩინებიან, რომ საწყალს ჭკუას დაუბნევენ. აი, მოურიგდა ფასზედაც და ეხლა უნდა აუწონოს, მაგრამ... კაცს ტირილი მოუვა, აწონას რომ უყუროს. ხუთი და ათი გირვანქა რომ დაუკლონ—არაფერი. თითქმის შუაზე უყოფენ გლეხს სანოვაგეს. ნუ თუ არ შეიძლება ამ თაღ-გასულობას ყურადღება მიექცეს. სამტრედიაში შემოაქვთ მახლობელ სოფლებიდან ყოველ გვარი ხილი და საუკეთესო ღირსებისა. აქედან იგზავნება მახლობელ ქალაქებში: ბათუმსა, ფოთსა, ტფილისსა და ბაქოში. იგზავნება აგრეთვე რუსეთშიაც.

სამტრედიელ-დანიელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მაისი.

ლივადია. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ დაათვალიერა ლივადიის ციხე და იმპერატორ ალექსანდრე III-ის ნავთსადგური და სადამოთო შეკონს წავიდა.

ხერსონი. იდღესასწაულეს ხერსონის გუბერნიის ასი წლის არსებობა.

ტვერი. ქ. მოსკოვში ალექსანდრე III-ის 1 დუმ-დრაგუნთა პოლკის დღესასწაულის დღეს დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის თანადასწრებით პოლკის ეკკლესიის საძირკველი ჩაჰყარეს.

კონსტანტინეპოლი. ნაჩევიჩი ცოტა ხანს ესაუბრა ვეზირს, ხონთქრის პირველ მდივანს წარუდგა და მთელი ერთი საათი დიდ-ვეზირს ესაუბრა. ხონთქრის ბრძანებით, დიდმა ვეზირმა ნაჩევიჩთან ისაუზმა ილდიზ-კიოსკში. ორშაბათს ნაჩევიჩი მეორედ ესაუბრა დიდ-ვეზირს და თავისი პროგრამა გააცნო; ამ პროგრამაში ნაჩევიჩი ამბობდა, თუ ბოლგარიამ და ოსმალეთმა რანაირად უნდა მოაწყონ ნორმალური ურთი-ერთობა. დიდმა ვეზირმა უპასუხა: რისამე დათმობაზე ეხლა ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება: ბოლგარიამ პირველმა უნდა დასთმოსო. ვეზირმა მომავლის იმედი მაინც არ გაუწყვიტა ნაჩევიჩს.—ინგლისი ისევ ოსმალეთ-ბოლგარიის პირდაპირ შეთანხმებას ემხრობა.—რონდაში (სერესის სანჯაყი) დატუსაღებულ, კომიტეტის მეთაურ პასკალ ითრკს ქაღალდები უპოვეს. ამ ქაღალდებიდან სჩანს, რომ რევოლიუციონერები ბოლგარებს აქეზებდნენ, სოფლებში მუსულმანები გაწყვიტეთო.—კეპრიულიში 10 კილოგრამი დინამიტი და ქაღალდები იპოვეს და ხალხი დაატუსაღეს; ეხლა გამოირკვა, რომ უკანასკნელი ამბები სულ კეპრიულიში ყოფილა მოფიქრებული.—20 მაისს ვალის ურცფიკალიაზე გამოცემულ ირადეს თანახმად, უმთავრეს დირექტორის ხელ-შეკრულობას ორივ მხარემ ხელი მოაწერა.—ნაჩევიჩი ხონთქარს წარუდგა; ილდის-კიოსკში სასახლის კარით წაიყვანეს. ირწმუნებიან, ხონთქარი სასტიკ ღონისძიებათა შემსუბუქებას და უდანაშაულო ბოლგარების განთავისუფლებას დაჰპირდაო.—რუსეთისა და ავსტრიის მოთხოვნილებით დანიშნული კომისია აოხრებულ სოფელ სმერდეშში წავიდა იმის გამოსაძიებლად, თუ რისთვის აოხრეს ეს სოფელი.

პეკინი. საქმის ვითარებამ იუნანში ისევ ნორმალური მიმდინარეობა მიიღო. ლინანფუ ხელახლა წაართვეს ინსურგენტებს.

ვენა. მოვიდა მინისტრი დიუდ სკანოვი.

საროვის უდაბნო. „დიდ-ძალი მლოცველი მოდის უდაბნოში. მხოლოდ მოსულთა მესამედმა მიიღო ცალკე ნომერი და კრავატი საზოგადო სადგომებში. სამგზავრო ფასის შესახებ შემცდარი ცნობები იყო მოთავსებული გაზეთებში. მონასტრის გარეშემო დასახლებული ადგილები არ არის, რასაც წინდაწინვე ატყობინებენ იმათ, ვისაც უდაბნოში წასვლა უნდა და ვინც მონასტრის სასტუმროებში ადგილი ვერ იშოვნა, ამათ ღამე გარედ, ცის ქვეშ უნდა გაათიონ. არქიმანდრიტი სერაფიმე ჩიჩაგოვი“.

23 მაისი

მოსკოვი. ჩამოვიდნენ პეტერბურგიდან მოსკოვში წევრები პარიზის მუნიციპალიტეტის დეპუტაციისა, დაათვალიერეს კრემლის ტაძრები, სასახლე, ოქროსნის პალატა, ავიდნენ ივანე დიდის სამრეკლოზე, ნახეს აგრეთვე „ვორობიოვის“ მთა.—მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი აარსებს მოსკოვში 10 მომხმარებელ ამხანაგობას. სამოქალაქო სკოლების მოსწავლეებისათვის ქალაქი ხსნის ამბულატორიებს თვალით, ყურით, ყელით, ცხვირით და კბილით ავადმყოფებისათვის.

კრასნო იარსკი. კაპიტან პოპოვის სამეცნიერო-სავაჭრო ექსპედიცია, შემდგარი ოცი კაცისაგან და 50 დატვირთულ ცხენისაგან. პარაკლისის გადახდის შემდეგ კანსკიდან გაემგზავრა მონღოლეთისაკენ საიანის მთებით.

კონსტანტინეპოლი. ნაჩევიჩი ილდიზ-კიოსკში გულითადად მიიღეს, მაგრამ მისი მისია, მგონია, ჯერ-ჯერობით მდგომარეობს მხოლოდ აზრის გაცვლა-გამოცვლაში, რომ სხვა-და-სხვა მიმართულებები დააშორონ ერთმანეთს.

ალექსანდროპოლი. 22 მაისს მოვიდა დედოფალ მარიამ თეოდორეს ასულის სახელობის ყრუ-მუნჯთა სამზრუნველოსაგან გამოგზავნილი რაზმი. რაზმშია ორი ასისტენტი, პროფესორი სამხედრო-სამკურნალო აკადემიისა სიმონოვსკი და სამი სტუდენტი. რაზმს საგნად აქვს თითეულად გასინჯოს და გამოიკვლიოს მცხოვრებნი ერთის სოფლისა და ორის თემისა, სადაც ყურისა, ცხვირისა და ყელის ტკივილი უჩნდებათ. ამბულატორიას დააარსებენ ოპერაციის გასაკეთებლად. ჰფიქრობენ რაზმი შუაგულ მაზრაში დაიწყებს მოქმედებას, ავადმყოფებს მიიღებს და სტატისტიკურ ცნობებს შეადგენს. მინდვრად მუშაობის დროს რაზმი ქალაქად წავა, სადაც განსაკუთრებით ტერაპევტიურსა და ხირურგიულ შრომას შეუდგება.

პარიზი. 23 ივნისს ლუბე ინგლისს მიემგზავრება, სადაც სამს დღეს დარჩება.—საფრანგეთის მისიამ პეკინში დეპეშა მიიღო ტონკინსა და მდინარე სონგკოს შუა მიმოსვლა აღდგენილიაო.

კონსტანტინეპოლი. სერბიის ელჩი გრუიჩი კონსტანტინეპოლს სტოვებს. მას მაგიერად იქმნება ვესნიჩი. რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის მეგობრულ რჩევის თანახმად, დატუსაღებულ ბოლგარებს ათავისუფლებენ. ოსმალეთის ცნობებით, სამივე ვილაიეტის დაპატიმრებულ ბოლგართა რიცხვი 1000-მდე თუ აგა. ტრაპიზონსა და მცირე აზიაში გაგზავნა შესწყვიტეს. აქ 20-მდე ტუსაღი ბოლგარელი-დაა.

ნიკოლაევსკი. ოც მაისს გემით „მუკდენით“ მოვიდა აქ სამხედრო მინისტრი. ქალაქის თავმა მიართვა პურ-მარილი. მინისტრმა მიიღო მოსამსახურეები, დეპუტაციები ოქროს მრეწველებისა, გლეხებისა სხვა-და-სხვა აქაურ მკვიდრთა და ოქროს მძებნელ მუშებისა. შემდეგ მინისტრი გაემგზავრა სობოროსაკენ, ხალხი ეგებებოდა „ურა“-ს ძახილით. წირვის გამოსვლის შემდეგ მინისტრს სალამით შეხვდნენ მოსწავლეები. მინისტრმა ჯარებს გამოუცხადა ხელმწიფე-იმპერატორის მადლობა ჩინეთთან ომის დროს შრომის და სამსახურისათვის; ჯარის კაცებმა აღფრთოვანებული „ურა“-ს ძახილით უპასუხეს. ცერემონიალური მარშის შემდეგ მინისტრმა დაათვალიერა სამხედრო სადგომები, სამოქალაქო საქალებო სასწავლებელი, საპყრო, საავადმყოფო, სამხედრო საკრებულო და საპყრობილე.

პეტერბურგი. ებოძა უმაღლესი რესკრიპტი გატჩინის სათავადო ინსტიტუტს მისი არსებობის ასი წლის გამო.—დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ტალი მეთერთმეტე კორპუსის უფროსად.

პარიზი. ფიგეში მომხდარ ამბების გამო კომბმა განაცხადა პალატაში, რომ ავაზაკები სამაგალითოდ დაისჯებიანო. მთავრობას არ აქვს აზრად დამორჩილება ან წართმევა, ჩვენ რეპრესიებს მივმართავთ იმდენად, რამდენად ეს დაეთანხმება ჩვენ ხელ-შეკრულობას მაროკოსთანო; ამიტომ არც მაროკო და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო არ უნდა უყურებდეს ეჭვის თვალით ჩვენ განზრახვასო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 8 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა მდგომარე წლის 28 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი ნავთლუღის სადგურის მახლობლად. ეს ადგილი ნავთის საწყობის გასამართავადაა.

პირობებისა, ქაღალდებისა და გეგმის გასინჯვა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა წარადგინოს ბე 300 მანეთი. შეიძლება განცხადებების წარდგენა დაბეჭდილ კონვერტებითაც.

(2—5.—1).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—55)

„ქართული დრამატიულის საზოგადოების“

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

სამს პრემიას

300 მან., **200** მან. და **100** მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუბეჭდავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილი იქმნება პრემიისღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენიდან მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული. (10— 9)

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 мая, 1903 г.

ელექტრობეჭ. სტ. შ.-წ.-ნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)